

პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2022 წლის — ნოემბერი

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N6–ში მდებარე შენობაზე ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ლამარა ბოლქვაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N6–ში მდებარე შენობაზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N6–ში მდებარე შენობაზე ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

აჭარის ტელევიზიამ პირველად მაუწყებლობა 1987 წლის 4 ნოემბერს 15 წუთიანი გადაცემით დაიწყო. ტელევიზიის პირველი დირექტორი, ქალბატონი ლამარა ბოლქვაძე ტელევიზიას გახსნის დღიდან ხელმძღვანელობდა 4 წლის განმავლობაში, მანამდე კი 1965-78 წლებში აჭარის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

ქალბატონი ლამარა ბოლქვაძე გახლდათ აჭარის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის წევრი, ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა აჭარის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და აჭარის კულტურის სამინისტროს.

დაჯილდოებულია საპატიო ბათუმელის წოდებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის დამსახურებას ქალაქ ბათუმის წინაშე.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N6–ში მდებარე შენობაზე განთავსდეს ლამარა ბოლქვაძის სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე: გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ლევან ცხიძე